ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1116162

ნომერი: AR1191823

თარიღი : 22.01.2014

გაცემის თარიღი : 10.02.2014

გაცნობის თარიღი : 10.02.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი , I და III მ/რ შორის (ნაკვ.1/32) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევან სეფერთელაძე პ/ნ 01030022760
- თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ. N 52/54

ორგანიზაცია:
- დ პლუსი კოდი: 202907541

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 2013 წლის 5 თებერვლის AR1191823 ხელმეორედ შემოტანილი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდ დიღომში, I და III მ/რ–ს შორის საკადასტრო გეგმით # 01.10.06.001.128 მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას განმეორებით გაცნობებთ შემდეგს:

სამსახურმა როგორც შეხვედრაზე ასევე წერილობით გაცნობათ, რომ თქვენი მიწის ნაკვეთი და მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენდა გაუნაშენიანებელ სივრცეს, რომელსაც ჩამოყალიბებული ინფრასტრუქტურა არ გააჩნდა. მათი განვითარება უნდა მოხდეს ერთიანი მოწესრიგებული დაგეგმარების შესაბამისად.

გამნომდინარე აქედან მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელი იყო მომიჯნავე საკადასტრო კოდით # 01.10.06.001.127 მიწის ნაკვეთთან ერთად ერთიანი პროექტის ფარგლებში, რომელის შეთანხმება განხორციელდებოდა ცალ–ცალკე, რომლის შესაბამისადაც უნდა წარმოგედგინათ # 01.10.06.001.128 და # 01.10.06.001.127 მიწის ნაკვეთების ერთიანი სამშენებლო განვითარების კონცეფცია.

ხელმეორედ შემოტანილ განცხადებაში წარმოდგენილი არ არის # 01.10.06.001.128 და # 01.10.06.001.127 მიწის ნაკვეთების ერთიანი სამშენებლო განვითარების კონცეფცია.

გთხოვთ წარმოადგინოთ # 01.10.06.001.128 და # 01.10.06.001.127 მიწის ნაკვეთების სრულყოფილი კვალიფიციური ერთიანი სამშენებლო განვითარების კონცეფციის ესკიზური ვარიანტი და გენგეგმა მიმდებარე გარემოსთან მიმართებაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.